პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 238 (6293)

6 დეკემბერი ოთხშაბათი. 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



# წარმატებებით ვუპასუხოთ

საპატიო და ზეაღმტაც ამოცანებს... საზეიმოდ იშრომეს საბჭოთა ადამიანებმა მეათე ხუთწლედის მესამე წელს. უფრო გრანდიოზული ამოცანებია გადასაწყვეტი მომავალ წელსაც. ხუთწლედის 3 წლის შედეგებსა და მისი მეოთხე წლის გეგმების, შემდგომი პერსპექტივებისა და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტის გზების შესახებ იყო მსჯელობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმსა და სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიაზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ პლენუმზე წარმოთქმულ ღრმაშინაარსიან და მკაფიო სიტყვაში ხაზგასმული იყო, რომ საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მეათე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე ახალი მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობის ყველა სფეროში, გაუმჯობესდა ხალხის კეთილდღეობა. ამავე დროს მომავალ წელს მეტი გარჯა გვმართებს, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს და განმტკიცდეს ჩვენი დიადი სამშობლო.

მომავალ წელს, ისევე როგორც შემდგომი წლების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გაძლიერდეს ბრძოლა ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისთვის. ეს ბრძოლა, ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში, უნდა წარმოებდეს ფართო ფრონტით — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაში და ეკონომიკის სხვა დარგებში, წარმოებისა და მართვის ყველა რგოლში. პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს. აღინიშნა, რომ ჩვენს პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი გადაიცემოდეს მეტი პრინციპული, საქმიანი და შინაარსიანი მასალები, რომლებიც უნდა მოიცავდეს სამეურნეო და სოციალური ცხოვრების მომწიფებულ პრობლემებს. „იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა ვალია, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ამაღლონ მუშაობის ხარისხი, ეფექტიანობა, სრულყონ მისი ფორმები და მეთოდები".

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები ბევრს ავალებს მთელი ჩვენი ქვეყნისა და მათ შორის საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში ხომ ფიზკულტურასა და სპორტს უკავია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი. საბჭოთა ადამიანები უნდა იყვნენ ფიზიკურად ჯანსაღნი, რომ წარმატებით განახორციელონ ის გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და მთავრობამ დასახეს ხალხის წინაშე.

ახლა, როცა კარს მოგვადგა საბჭოთა სპორტის დიდი ფორუმი — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა, მოსკოვის ოლიმპიური თამაშები, რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკებმა გაათკეცებით უნდა ვიმუშაოთ, რათა წინა წლების ჩავარდნები აღარ განმეორდეს, მაღალი ხარისხისა და მეტი ეფექტიანობის ნიშნით უნდა მიმდინარეობდეს ხალხთა VII სპარტაკიადაში მონაწილე რესპუბლიკის ნაკრები გუნდებისა და სპორტსმენების მზადება. საქმე ისე უნდა წარიმართოს, რომ მწვრთნელებმა, სპორტსმენებმა უქმად არ დაკარგონ მცირეოდენი დროც კი, მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს დასახული გეგმის ზუსტი დაცვით, რიტმულად.

ამავე დროს მხედველობის არედან არ უნდა გამოგვრჩეს ახალგაზრდა თაობაზე ზრუნვაც. ჩვენს მომავალ ჩემპიონებსა და რეკორდსმენებს ნაყოფიერი წვრთნისა და სპორტში წინსვლის ყველა პირობა უნდა შევუქმნათ. ჩვენში ცოტა როდია ისეთი რაიონი, ქალაქი, ფიზკულტურული ორგანიზაცია, სადაც ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ ფიზკულტურისა და სპორტის ცხოველმყოფელი ძალა და წლების მანძილზე ურიგდებიან ჩამორჩენას. ფიზკულტურისა და სპორტის ამაღლების საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ რაიონების, ქალაქების პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს. ამის შესახებ სერიოზული სჯა-ბაასი იყო რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის სხდომაზე. მას შემდეგ მთელი რიგი ქმედითი ღონისძიებები გატარდა ახალგაზრდობაში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვის საქმეში, მაგრამ, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობაში უნდა დაინერგოს მუშაობის თანამედროვე სტილი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა უჩამორჩენილოდ მუშაობას უწოდა საქმიანი, ნამდვილად მასების შუაგულიდან მომავალი ინიციატივა, რომელსაც შეუძლია აღანთოს და ფრთა შეასხას მილიონობით ადამიანს.

პარტიის ეს მოწოდება სწრაფად უნდა გავრცელდეს ჩვენს საქმიანობაში — უნდა შემოვიღოთ ასეთი დევიზი: არც ერთი ჩამორჩენილი ფიზკულტურული კოლექტივი, ორგანიზაცია ჩვენს გვერდით! განა მოსათმენია, რომ მოწინავე საწარმოში, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში, სხვადასხვა დაწესებულებაში წლიდან წლამდე სუსტად მუშაობენ ფიზკულტურული კოლექტივები, ნაკლებად ზრუნავენ ახალგაზრდობის ფიზიკურ წრთობაზე, არაფრად აგდებენ იმ ჭეშმარიტებას, რომ სწორედ ფიზკულტურასა და სპორტში მომეცადინე ახალგაზრდები არიან შრომაში მოწინავენი, გადაჭარბებით ასრულებენ მათზე დაკისრებულ დავალებებს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა რომ დიდ ყურადღებას უთმობს ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის ყოველმხრივ განვითარების საქმეს, ეს თვალნათლივ დაადასტურა ახლახან დამთავრებულმა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიამ, რომლის გადაწყვეტილებით მომავალი წლისთვის ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის შემდგომი განვითარებისათვის გამოყოფილია 13,6 მილიარდი მანეთი. ეს იმას ნიშნავს, რომ საგრძნობლად გაფართოვდება სტადიონების, სხვა სპორტული ბაზების ქსელი, მეტი პერსპექტივები გადაიშლება ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე. ჩვენი ვალია, ახალ-ახალი წარმატებებით ვუპასუხოთ პარტიისა და მთავრობის ზრუნვას, გაათკეცებული ენერგიით ვიბრძოლოთ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისთვის, ვიზრუნოთ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების ფიზიკური წრთობის ამაღლებისთვის.

# უშეღავათო ბრძოლა

## სსრ კავშირის 46-ე ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა)

საინტერესო... საიმედო პირი უჩანდა III ტურს, როცა სადემონსტრაციო დაფებზე ბევრი ახალი პოზიცია და უცნობი თეორიული გაგრძელება გამოჩნდა. ნათელი იყო, რომ ყველაფერ ამას ქარტეხილი მოჰყვებოდა. მართლაც, ისეთი თამაში გაჩაღდა, გულშემატკივრები რომ სულმოუთქმელად მოელოდნენ. სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ ორი შეხვედრა — ს. მაკარიჩევი — ჰ. კასპაროვი და ვ. ბაგიროვი — ი. დორფმანი — ვადამდე დამთავრდა. პირველში 22 სვლის შემდეგ ისეთი სიმეტრიული პოზიცია შეიქმნა, რომ ყაიმი გარდუვალი იყო. მეორეში, უკიდურესობამდე დაძაბულ ვითარებაში, უკვე მე-18 სვლაზე მეტოქეებმა სვლების გამეორება დაიწყეს. მიზეზი საპატიო იყო: მეტოქეებს თითქმის მთლიანად დაეხარჯათ მოსაფიქრებელი დრო და ცაიტნოტი ემუქრებოდათ.

სამი დამთავრებული შეხვედრით კმაყოფილმა მაყურებელმა მოჭადრაკეები ტაშით დააჯილდოვა.

პირველი გამარჯვება იზეიმა ა. ბელიავსკიმ, რომელმაც დაუყოვნებლივ გამოიყენა ვ. ტუკმაკოვის შეცდომა ახალინდურ დაცვაში. 30-ე სვლაზე ოდესელი დიდოსტატი წაგებას შეურიგდა.

ასევე პირველი ქულა მიიღო ვ. ცეშკოვსკიმაც. ესპანური პარტიის ღია ვარიანტში მისმა მეტოქემ ა. მიხალჩიშინმა შევიწროებული პოზიცია მიიღო. სიძნელეებისთვის თავის დაღწევის მიზნით მიხალჩიშინმა ფიგურა შესწირა, მაგრამ მეფის ფრთაზე კონტრთამაშში მაინც ვერ განავითარა და 28-ე სვლაზე პარტიის დათმობა მოუხდა.

ყველაზე საინტერესო და შინაარსიანი ე. გელერ — ე. სვეშნიკოვის პარტია აღმოჩნდა. სიცილიური დაცვით (სვეშნიკოვის ვარიანტი) დაწყებულ პარტიაში, თეთრების 27-ე სვლის შემდეგ ასეთი პოზიცია შეიქმნა:



მანამდე, რამდენიმე სვლით ადრე, სვეშნიკოვმა გელერს ყაიმი შესთავაზა, მაგრამ მოსკოველმა დიდოსტატმა დაზავება არ ისურვა. ცაიტნოტში ძნელი იყო დიდი გართულებების აღქმა და სწორი გადაწყვეტილების მიღება. პარტია ასე გაგრძელდა:

27. ... მe5! (კონტრთამაშის ერთადერთი შესაძლებლობა) 28. მf4 (ან 28. მc3 კ:c4 29. bc მd3) 28. ... ე:f4! 29. gf მf3+! (შეწირვების ფეიერვერკით შავები განსაცდელს თავს აღწევენ) 30. gf კ:c4 31. ლ:e4 კ:b3 32. ეb1 ეe8 33. ე:a5 (თითქოს თეთრები იგებენ, მაგრამ ბრძოლა გრძელდება) 33. ... d5! 34. ეc1?? (ლამაზია, მაგრამ მცდარი. 34. ლ:e8+ ანდა 34. ე:b3 შემდეგ ყაიმი იყო მოსალოდნელი) 34. ... ლg6+! და გელერმა დანებების ნიშნად საათი გააჩერა. დასანანი წაგებაა.

ოთხი პარტია დაუმთავრებელი დარჩა. გ. ტიმოშჩენკოს უპირატესობა აქვს თ. გიორგაძესთან, გ. კუზმინს — ი. რაზუვაევთან. პარტიებში მ. ტალი — ო. რომანიშინი და ლ. პოლუგაევსკი — ბ. გულკო თეთრებით მოთამაშეებს ყაიმი აქვთ საძებნი.

3 ტურის შემდეგ დაწინაურდა ა. ბელიავსკი — 2 ქულა. ვ. ცეშკოვსკის, ო. რომანიშინსა და ე. სვეშნიკოვს 1,5-1,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ.

დღეს, 6 დეკემბერს IV ტურია. ერთმანეთს შეხვდებიან: მიხალჩიშინი — გიორგაძე, რაზუვაევი — ტიმოშჩენკო, ბელიავსკი — კუზმინი, გულკო — ტუკმაკოვი, კასპაროვი — პოლუგაევსკი, დორფმანი — მაკარიჩევი, სვეშნიკოვი — ბაგიროვი, რომანიშინი — გელერი და ცეშკოვსკი — ტალი.

ვ. მიკენასი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

• • •




სურათებზე: ზევით — ო. რომანიშინი; ქვევით — გელერ — კასპაროვის შეხვედრა.

ა. კოტორაშვილისა და მ. ზარგარიანის ფოტოები.

# იერიში გამარჯვების საწინდარია

## ჭადრაკი

ფრუნზე, 5 დეკემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში გუშინ გაიმართა III ტური.

საერთაშორისო ოსტატმა მ. რანიკუმ (ტალინი) სსრ კავშირის ჩემპიონთან, საერთაშორისო ოსტატ ლ. სემიონოვასთან (კიევი) შეხვედრაში დროულად წამოიწყო იერიში. ჯერ პაიკის, მერე ეტლის შეწირვით 23-ე სვლაზე ჩემპიონს ფარ-ხმალი დააყრევინა. ჯერჯერობით ეს ტურნირის ყველაზე კარგი პარტიაა.

დიდოსტატი ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი) ნ. იოსელიანთან შეხვედრაში თავიდან უარეს პოზიციაში აღმოჩნდა, თუმცა სიცილიურ დაცვას თეთრებით თამაშობდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად მას პაიკის შეწირვა მოუხდა, მაგრამ ნორჩმა თბილისელმა მოჭადრაკემ ვერ შეინარჩუნა უპირატესობა და ცაიტნოტში დაკარგა იგი. შემდეგ იოსელიანის მეფე იერიშის ქვეშ მოჰყვა და შამათის მუქარის გამო დანებდა.

ენერგიული თამაშით ნ. გურიელი უფიმცევის დაცვაში უპირატესობას დაეუფლა საერთაშორისო ოსტატ ლ. საუნინასთან (სვერდლოვსკი) შეხვედრაში. მან მარჯვედ გამოიყენა ორი კუს შეთანხმებული მოქმედების შესაძლებლობა და ტაქტიკური დარტყმით პაიკი მოიგო. ეს საკმარისი იყო გამარჯვების მოსაპოვებლად.

ტ. ჩეხოვა უარეს პოზიციაში დიდხანს იგერიებდა ლ. ბელავენეცის (ორივე — მოსკოვი) შეტევას და მისმა შეუპოვრობამ დალალა მეტოქე: ბელავენეცი შეცდა, უფიგუროდ დარჩა და დანებდა.

ყაიმზე შეთანხმდნენ ლ. ზაიცევა (მოსკოვი) — თ. ვორონოვა (ნაბერეჟნიე ჩელნი), ტ. მოროზოვა (ოდესა) — ლ. ლისენკო (კიევი).

ორი პარტია გადაიდო. თ. ხუგაშვილს ეტლების ენდშპილში პოზიციური უპირატესობა აქვს ოსტატ ნ. ტიტორენკოსთან (მოსკოვი).

3 ტურის შემდეგ ლიდერობენ მ. რანიკუ და მ. ლიტინსკაია (ლვოვი) — 2-2 ქულა და თითო გადადებული პარტია.

გ. მამაცაშვილი.




ხელბურთელ ვაჟთა XII საერთაშორისო ტურნირი „ზარია ვოსტოკას" პრიზზე

# დაიწყო...

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების XII ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე.

პირველ დღეს გაიმართა სამი შეხვედრა. აი მათი შედეგები:

სსრ კავშირის ნაკრები — იუნიორთა საკავშირო ნაკრები 40:22 (17:9).

რუმინეთი — იუგოსლავია 22:16 (11:11).

საქართველო — ჩეხოსლოვაკიის გუნდების მატჩი გვიან დამთავრდა.

დღეს გაიმართება მეორე ტურის შეხვედრები: სსრკ (იუნიორები) — ჩეხოსლოვაკია, სსრკ — რუმინეთი და იუგოსლავია — საქართველო.

„ჩვენ გვინდა ვხედავდეთ ჩვენს ახალგაზრდებს არა მარტო ყოველმხრივ განათლებულსა და სულიერად მშვენიერს, არამედ ჯანმრთელსაც, გამოწრთობილსაც, ფიზიკურად ძლიერსაც. საჭიროა შემდეგშიც მაღლა ავწიოთ ჩვენი სპორტის პრესტიჟი". (ლ. ი. ბრეჟნევი).

„შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმი

# სწორი ორიენტირი

**თბილისში** გაიმართა საქართველოს „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა ამ საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის **ა. შენგელიას** მოხსენება „საქართველოს პროფტექგანათლების სისტემასა და „შრომით რეზერვებში" სპორტულ ნაგებობათა ქსელის შემდგომი გაფართოებისა და მისი ეფექტური გამოყენების მდგომარეობის შესახებ".

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა — თბილისის № 23 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილემ **ლ. დვალმა,** № 63 სასწავლებლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა **კ. უიფიანმა,** კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მწვრთნელმა **თ. კიკნაძემ,** ცურვის სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ **რ. გოზალოვმა,** № 36 სასწავლებლის მოსწავლემ **ე. კრისკომ,** არქიტექტორმა **ფ. ნადარაიამ,** „თბილქალაქპროექტის" პროექტის მთავარმა არქიტექტორმა, დოცენტმა **ნ. ლასარეიშვილმა,** საქართველოს პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ვ. ოსეპჩუკმა,** „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ **კ. ვარავკამ** და სხვებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ რა მუშაობა ტარდება მშრომელთა მომავალი ცვლის ფიზიკური და სპორტული სრულყოფისთვის.

ითქვა, რომ სკკპ XXV ყრილობამ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ფიზიკური წრთობის შემდგომი ამაღლებისთვის ზრუნვას სათანადო ადგილი დაუთმო, ხოლო შემდეგ, X ხუთწლედის გეგმაში იგი კიდევ უფრო ნათლად აისახა. ამ ხუთწლედის პირველივე წლიდან ყველგან მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის უფრო მაღალ, სრულყოფილ დონეზე ასაყვანად.

ხუთწლედის განვლილი 3 წელი პროფტექნიკური სასწავლებლების ქსელის გაფართოებისა და ამ სასწავლებლებში დასაქმებულთა ფიზიკური გაჯანსაღების დონის ზრდის წლები იყო. ჩვენს რესპუბლიკაში ამ სასწავლებლების რიცხვი 1975 წლის 82 ერთეულიდან 125-მდე გაიზარდა. **მარტო შარშან სასწავლებლებმა სახალხო მეურნეობას მისცეს 26 ათასზე მეტი მაღალკვალიფიციური მუშა, რომელთა 92 პროცენტი თანრიგოსანი სპორტსმენი და მშდ ნიშნოსანი იყო.**

ასეთი დიდი პროცენტი იმის შედეგია, რომ საქართველოს პროფტექგანათლების მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას ახლა განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. მას დამაკმაყოფილებლად უძღვება სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭო, ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოები ადგილებზე.

ხუთწლედის დავალებებისა და საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების გადაწყვეტილებების შესრულებისთვის ბრძოლაში „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკურმა საბჭომ შეძლო თავი დაეღწია წინა წლების ჩამორჩენისთვის. უკვე შარშან აქ გადაჭარბებით გაანაღდეს სისტემაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების სახელმწიფო დავალებანი.

შემდეგ შენგელიამ აღნიშნა, რომ ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა სასწავლებლების ფიზკულტურის კოლექტივებში მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ამაღლებისთვის გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ. ამ ღონისძიებაში **შარშან დაწინაურდნენ თბილისის № 36 და ქუთაისის № 67 პროფტექსასწავლებლები. ქუთაისის № 42 ტექნიკური და მცხეთის № 89 სასწავლებლები,** რაც ამ ფიზკულტურული კოლექტივებისადმი დირექციების, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების უნარიანმა ხელმძღვანელობამ და დახმარებამ განაპირობა.

საქართველოს პროფტექგანათლების სისტემის სასწავლებლებში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მაჩვენებლების ზრდის ტემპი წლეულს კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა, რაც ჯერ 29-ე რესპუბლიკური, ხოლო შემდეგ მე-15 საკავშირო სპარტაკიადებმაც დაადასტურა. **თუ შარშან საქართველოს სპორტსმენებმა „შრომითი რეზერვების" საკავშირო კომპლექსურ ღონისძიებაში მხოლოდ 5 მედლის მოპოვება შეძლეს, წლეულს ეს რიცხვი 34-მდე ავიდა. აქედან, მათ 9 ოქროს, 12 ვერცხლისა და 13 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.**

თითქმის ყველა სახეობაში გაუმჯობესდა შედეგები: მოჭიდავე გოგონებმა მეექვსედან I ადგილზე გადაინაცვლეს, ფეხბურთელებმა მეოთხედან — მეორეზე. კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა და ტანმოვარჯიშეებმა შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს. თითო ადგილით უკეთესი, ვიდრე ადრე ჰქონდათ. ოთხი საფეხურით მაღლა აიწიეს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა, ხოლო ექვსით — მოჭადრაკე ვაჟებმა და ა. შ.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველა კოლექტივი როდი მუშაობს თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე. **ტყარჩელის № 22, ვანის № 68, ქუთაისის № 33, ვალეს № 29, ხაშურის № 64, ცხინვალის № 78 და თბილისის №№ 38 და 97 სასწავლებლებში აქამდე ვერ შეძლეს ფიზკულტურულ-სპორტული და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების სათანადოდ წარმართვა. ამ სასწავლებლებში ფიზაღზრდის გაკვეთილებიც დაბალ დონეზე ტარდება.**

პლენუმზე ლაპარაკი იყო იმაზე, რომ სპორტული შედეგების ზრდაში, მასობრივ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის ამაღლებაში მთავარი როლი ეკისრება ბაზებს. სამწუხაროდ, ამ მხრივ რესპუბლიკაში საქმე სახარბიელოდ ვერ არის — საქართველოს პროფტექგანათლების სისტემის სასწავლებლები ბაზების რაოდენობის მიხედვით სსრ კავშირში უკანასკნელ ადგილზე არიან.

მართალია, უკანასკნელ წლებში პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის ზრუნვით, საბაზო დაწესებულებებში სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებისთვის მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა — ყველა ტიპურ სასწავლებელს, რომლებიც საექსპლოატაციოდ გადაეცა, ტანვარჯიშული დარბაზები და სპორტული მოედნებიც აქვთ, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია.

ითქვა, რომ **რესპუბლიკაში აუცილებელი სპორტული ნაგებობანი მხოლოდ სკოლების 15 პროცენტს გააჩნია.** „შრომითი რეზერვების" სპორტული ბაზებიდან მოთხოვნებს აკმაყოფილებს მხოლოდ 30 დარბაზი (66-დან), 3 აუზი (10-დან), 8 ტირი (14-დან), 5 ფეხბურთის მინდორი (12-დან), ფრენბურთისა და კალათბურთის 12-12 მოედანი (63 და 57-დან შესაბამისად). სავალალო ფაქტებია. სხვა ბაზები სასწავლებლების დირექციების, ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოების გულგრილობის გამო მოუვლელია. არა და, ამ ნაკლის გამოსწორება საკუთარი ძალებითაც შეიძლება.

პლენუმზე ისიც აღინიშნა, რომ **ბევრი სასწავლებლის სპორტდარბაზში მხოლოდ კედლები, იატაკი და ჭერია.** მათი აღჭურვა პრობლემა როდია, მაგრამ არც სასწავლებლების დირექტორები, არც ფიზაღზრდის მასწავლებლები არ ცდილობენ შეიძინონ ან საკუთარი ძალებით დაამზადონ სათანადო ინვენტარი, როგორც ამას ბელორუსიაში აკეთებენ.

მართალია, ჩვენს რესპუბლიკაში არიან ინიციატივიანი ხელმძღვანელები, — ამბობს შენგელია, — რომლებსაც ბაზები სანიმუშო მდგომარეობაში აქვთ. მაგრამ ასეთები თითებზე ჩამოსათვლელია. ესენია: წულუკიძის № 9 და ბათუმის № 44 პროფტექსასწავლებლები. წულუკიძის სასწავლებელში მოსწავლეთა ძალებით, მცირე დანახარჯებით შექმნეს სპორტული ქალაქი ფეხბურთის კარგი მინდვრით, კალათბურთის (აქ საკავშირო ტურნირის ჩატარებაც შეიძლება), ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები.

სპორტული მოედნების მოწყობის შესაძლებლობებს ვერ იყენებენ თბილისის №№ 54, 74, 75, 80, ქუთაისის № 21 სასწავლებლებში. ზოგან, მაგალითად, ცხინვალის № 73 სასწავლებელში არსებული მოედნები სანაგვე ადგილებად გადაუქცევიათ (!).

პლენუმზე ლაპარაკი იყო, აგრეთვე, თვით რესპუბლიკური საბჭოს სპორტული ბაზების მდგომარეობაზე. ითქვა, რომ **ამ საბჭოს მთელ ავლადიდებას შეადგენს 25-მეტრიანი დახურული აუზი და საჭიდაო დარბაზი.** მართალია, ეს ნაკლი გამოსწორდება, როცა თბილისში მწყობრში ჩადგება ამ საზოგადოების სპორტული კომპლექსი და ბაკურიანში ბაზა, მაგრამ ამისთვის სულ ცოტა 1-3 წელია საჭირო.

თბილისში სპორტული კომპლექსის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. სამწუხაროდ, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წლევანდელი დავალების შესრულებას საფრთხე ემუქრება, ვინაიდან **დეკემბერში მშენებლებს ასათვისებელი აქვთ 115 ათასი მანეთი, ანუ შესასრულებელია წლიური გეგმის თითქმის 20 პროცენტი.** რაც შეეხება ბაკურიანში სამთო-გამაჯანსაღებელი ბაზის მშენებლობას, აქ მეტი დარღვევებია. მშენებლობა დაგვიანებით დაიწყო, მერე იგი სამუშაოთა მწარმოებლების ხშირმა ცვლამ შეაფერხა...

საქმიანობის ასე გაჭიანურებისთვის პლენუმზე გააკრიტიკეს **საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს გორის № 7 სამშენებლო ტრესტი, რომელმაც ამ ობიექტზე წლიური გეგმით გათვალისწინებული 480 ათასი მანეთიდან 11 თვეში მხოლოდ 195 ათასი მანეთი აითვისა.**

პლენუმზე სიამოვნებით ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ თბილისის ზღვის მიდამოებში განზრახულია აიგოს „შრომითი რეზერვების" სპორტული კომპლექსი 3 აუზით, ფეხბურთის სტადიონით, ყველა სახეობის სპორტთამაშების მოედნებით, სასტუმროთი... პროექტი შედგენილია, სახსრებიც არის, მაგრამ მანამდე?..

მომხსენებელს, მოკამათეებს არც იმის თქმა დავიწყებიათ, რომ საზოგადოების რიგი სასწავლებლების დირექციები არც სპორტინვენტარის შეძენაზე ირჯებიან, როცა ამ ინვენტარს სავაჭრო და მომმარაგებელი ორგანიზაციები მზამზარეულს სთავაზობენ. მაგალითად, „პროფტექმომარაგებაგასაღების" ბაზის საწყობში დღემდე ხელუხლებლად აწყვია 74 სპორტული ველოსიპედი.

ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როცა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ყოფნის ვადა ერთი წელი იყო. მაშინ მართლა ჭირდა მოსწავლეთა შორის სპორტული მუშაობის გაშლა, ახლა სხვაა — იმ კოლექტივებში, სადაც სპორტს სათანადოდ აფასებენ, 3-4-წლიანი სწავლების ხანგრძლივობა ყველა შესაძლებლობას იძლევა ამრავლონ მაღალთანრიგოსანთა რიგები, რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებს ხალხთა VII სპარტაკიადისა და XXII ოლიმპიური თამაშებისთვის უფრო მეტი კანდიდატი მოუმზადონ.

მომხსენებელი, მოკამათენი გულახდილად ლაპარაკობდნენ სხვა მიღწევა-ნაკლოვანებებზეც და პლენუმს პირობას აძლევდნენ, რომ საქართველოს სსრ პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტი, „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭო ყველაფერს გააკეთებენ სასწავლებლებში ბაზების ქსელის გაფართოებისათვის, მოსწავლეთა მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის იმ დონეზე ასაყვანად, რომელსაც სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების გადაწყვეტილებები მოითხოვენ.

პლენუმს წითელ ხაზად გასდევდა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა და მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადისთვის მზადების საქმეში გაწეულ მუშაობაზე სჯაბაასი.

„შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ კ. ვარავკამ ამ საბჭოს გარდამავალი დროშა გადასცა საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს მასობრივ-გამაჯანსაღებელ და ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში მოპოვებული წარმატების, სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღებული მაღალი მაჩვენებლისთვის. ცენტრალური საბჭოს სიგელებითა და სამახსოვრო მედლებით დაჯილდოვდნენ თბილისის № 36, ქუთაისის №№ 42 და 67 პროფტექნიკური სასწავლებლების ფიზკულტურული კოლექტივები და ცალკეული მუშაკები.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.



თბილისში, ვ. ი. ლენინის სახელობის დარბაზში გაიმართა 1963-64 წლებში დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა. სურათებზე, რომელსაც გთავაზობთ, სწორედ ამ შეჯიბრების მომენტებია აღბეჭდილი: თამაშობენ სოხუმისა და თბილისის კალათბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლის გუნდები (ზევით); „დინამოს" ახალგაზრდული კოლექტივისა და თბილისის კალათბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელთა შეხვედრა.

მ. ზარგარიანის ფოტოები.



[illegible]

## ✦ სამტრედია

აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის პირველობაში მინი-ფეხბურთში, რომელიც საქართველოს XII სპარტაკიადისთვის მზადების ნიშნით ჩატარდა, 7 გუნდი მონაწილეობდა. ყველას აჯობა ადმინისტრაციის ნაკრებმა. II ადგილზე მექანიკური სამქროს კოლექტივი, III — სანტექნიკური სამქროს გუნდი.

ი. ნიკოლეიშვილი

## ✦ ლენინგორი

„კოლმეურნის" რაისაბჭოს ფრენბურთელ ქალთა პირველობაში ... თი გუნდი მონაწილეობდა. წარმატებით ... ბლად იასპარეზეს ზაყორის საბჭოთა მეურნეობის ფრენბურთელებმა და პირველი ადგილი დაისაკუთრეს. II და III ადგილები შესაბამისად ლარგვისისა და ლენინგორის საბჭოთა მეურნეობის გუნდები გავიდნენ.

ვ. მელქოევი,
(ჩვენი კორ.).

## ✦ თერჯოლა

ჩატარდა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კალათბურთში. მონაწილეობდნენ სპორტული საზოგადოებები და საშუალო სკოლები.

ქალთა შორის I ადგილი დაიკავეს თერჯოლის ბავშვთა სპორტული სკოლის კალათბურთელებმა, ვაჟთა შორის — „კოლმეურნის" სპორტსმენებმა.

ვ. კუხალე...

# ალვეზარდოთ სამშობლოს პატრიოტები

საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი

**საქართველოს** სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის V გაფართოებული პლენუმი მიეძღვნა თავდაცვით-მასობრივი მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების შესახებ საქართველოს სსრ დოსააფის ორგანიზაციათა ამოცანებს.

რესპუბლიკის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის გმირის, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტის **ვ. ჯანჯღავას** მოხსენებაში, პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ რესპუბლიკის დოსააფის ორგანიზაციებმა სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში, რომელიც მიმდინარეობს პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლობასთან, პოლიტორგანოებთან, რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატებთან და სამოქალაქო დაცვის შტაბებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით, გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში.

ქალაქებსა და რაიონებში შექმნილია ათობით სპორტულ-ტექნიკური კლუბი. რესპუბლიკის დოსააფელებს აქვთ სპორტული კომპლექსი საგზაოტკეცილო-წრიული ტრასითურთ ქალაქ რუსთავში, ქალაქ თბილისის რესპუბლიკური მსროლელთა კლუბი სასროლეთითა და ტირითურთ. სამხედრო-ტექნიკური სწავლების ათობით სახლი სპორტულ-ტექნიკურ კლუბებთან კომპლექსით და სხვ.

ამავე დროს ტექნიკური და სამხედრო-გამოყენებით სახეობათა სპორტის განვითარების დონე ჯერჯერობით არ შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს. სამხედრო-სპორტულ მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებანი. რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდებმა 1978 წელს მთელ რიგ სამხედრო-ტექნიკურ და სამხედრო-გამოყენებით სახეობათა სპორტში დაბალი შედეგები უჩვენეს.

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ 1979 წელი, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წელი უნდა გახდეს სპორტული ოსტატობის ამაღლების, სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა სპორტში რესპუბლიკის ახალგაზრდობის უფრო სრული ჩაბმის წელი. განსაკუთრებით საჭიროა ავიასპორტისა და წყალქვეშა მარღლობის განვითარება.

პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განხორციელდეს თავდაცვით-მასობრივი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის ყოველნაირი ამაღლებისათვის, თავდაცვითი საზოგადოების წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის. (საქინფორმი).

აქტუალური პრობლემა

# ჰოი იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ...

ეკოლოგია, ეკოლოგი... ამ სიტყვებს დღეს უფრო ხშირად ვხვდებით და გვესმის, ვიდრე ოდესმე. თანამედროვე ადამიანი კარგა ხანია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გარემოს დაცვა მისთვის უპირველესი სასიცოცხლო პირობაა. სუფთა ჰაერისათვის, უბიწო ბუნებისათვის ზრუნვა — ესაა ჩვენი შეგნების, ჩვენი პასუხისმგებლობის, ჩვენი მოვალეობის თვალსაჩინო გამოხატულება. ვინც გარემოს დაცვისათვის არ ზრუნავს, ჭეშმარიტად, „იგი თავისა მტერია". სწორედ ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული ახლახან თბილისში გამართული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომპლექსური პრობლემებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. ამ უმაღლესი ფორუმის მასალებმა კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახა, რაოდენ დიდადაა დაინტერესებული ჩვენი საზოგადოებრიობა ბუნების დაცვის საკითხებით.

წერილი, რომელსაც ახლა გთავაზობთ, იმავე საკითხს შეეხება, რაზედაც ფართო მსჯელობა იყო რესპუბლიკურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე. იგი გვიამბობს თბილისის ერთ-ერთ ბაღში მომხდარ „ეკოლოგიური დრამის" შესახებ.

მოწყენილი გავყურებ გრძელ ბილიკს, რომელსაც ერთი მხრივ ხეები ჩასდევს, ხოლო მეორე მხრივ — სანაპიროს გრანიტის მოაჯირი. ჩემი მოწყენილობა რომანტიკული მოტივებით არ არის გამოწვეული. ამ წუთში თითქოს ვერ ვამჩნევ ზამთრის დამდეგისთვის უჩვეულოდ თბილი დღის მშვენიერებას, ვერ ვხედავ დაცვენილ ფოთლებს და არ მესმის ქარის სიმღერა. აქ რაღაც არ არის ყველაფერი რიგზე, აქ ჩემამდე ვიღაცები მოსულან, ცუდი საქმე უკეთებიათ, მერე კი გულარხეინად გაბრუნებულან და თავიანთი ნახელავისათვის ერთხელაც არ შეუხედავთ. მათთვის, ამ ადამიანებისათვის, არც მანამდე და არც მას შემდეგ არ არსებობდა ბაღის ცნება, მათ არც ადრე და არც ახლა არ უწყიან, რას ნიშნავს ეკოლოგიური პრობლემა, რას ისახავს იგი მიზნად, რად გვჭირდება, რისთვის გვინდა. მისთვის ბაღი პირველ რიგში მანქანების სათარეშო და სანავარდო ადგილია, შემდეგ — კაფე, რესტორანი, სალაღობო კუთხე და მხოლოდ მერე — მყუდრო სავანე.

გავყურებ ბილიკს, დათხრილს, დატორილს, დალარულს მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანების „ფლოქვებით", ვსუნთქავ ბაღში (!) მანქანების გამონაბოლქვი ჰაერით; მტვრის ბული ებრძვის და ამარცხებს ზამთრის სუსტი მზით განათებულ ხეებს, საწყალობელ ხეებს, რომლებმაც იმ ადამიანების გამოჩენამდე საერთოდ არ იცოდნენ, რა იყო მანქანა, რამეთუ დაწერილი თუ დაუწერელი კანონის მიხედვით ბაღში იმ ძველ დროს მანქანას არ შეესვლებოდა...

მოდით, დავაკონკრეტოთ სათქმელი, რადგანაც საკითხი მართლაც საჭირბოროტოა, რომ არა ვთქვათ სასიცოცხლო. ბაღი, რომლის ერთი ბილიკი, ოდესღაც ულამაზესი, მანქანებს მოაკვლევინეს და სამანქანო გზად აქციეს, მტკვრის სანაპიროზე მდებარეობს. ამ ბაღს ეკვრის „დინამოს" საჩოგბურთო მოედნები და წყალჯომარდობის ოლიმპიური ბაზა. ერთიცა და მეორეც ჩვენი სპორტული ცხოვრების უთვალსაჩინოესი ცენტრებია. დამსვენებლებს რომ თავი დავანებოთ (კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა დავანებოთ?), სპორტსმენებს რაღას ვეუბნებით? სად ივარჯიშონ რბენაში ნიჩბოსნებმა, ჩოგბურთელებმა, ეგრეთ წოდებული ძუნძულით რბენის მოყვარულებმა, რომლებიც ყოველ დილა-საღამოს გამოდიან შინიდან სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად და ჯანმრთელობის გასაკაჟებლად? აჰა, ის დროც მოვიდა, სერიოზულად ვილაპარაკოთ, მეტიც, ვიბრძოლოთ, რომ სპორტის მოყვარულებსა და ჩვეულებრივ დამსვენებლებს (მეტწილად, მოხუცებს, ბავშვებსა და დედებს) საშუალება მივცეთ უხიფათოდ იარონ და ირბინონ ბაღში!

ჟამიდან ჟამამდე კაცობრიობა შეძრწუნებით იხსენებს წინა საუკუნის ერთ-ერთ ტრაგედიას, რომელიც ავტომობილის პირველ მსხვერპლთან არის დაკავშირებული. სხვათა შორის, როგორც გამონაკლისი, იმ კაცის სახელიც არის ცნობილი, გვარიც, დაღუპვის დღეცა და საათიც. თუ ჩვენს პარკებსა და ბაღებში მანქანებს უთავბოლო, ყოვლად აუხსნელი, გაუმართლებელი, ბოროტების ტოლფასი თარეში არ აღვუკვეთეთ, თუ ჩვენი საზოგადოება ამ ბარბაროსობის წინააღმდეგ ერთსულოვნად არ აღდგა, თუ უმკაცრესად არ მივუთითეთ, ზოგჯერ კი კანონის ძალით არ დავსაჯეთ ეკოლოგიური ბოროტმოქმედნი, ერთ მშვენიერ დღეს ბაღში... დიახ, ბაღში შესაძლოა მოხდეს უპრეცედენტო ტრაგედია — მანქანამ კაცი გაიტანოს. სადღა გამოვყოთ სირცხვილით თავი, ხომ გაგვანადგურა სამყარომ თანაგრძნობითა და სიბრალულით, ხომ გავხდებით დაუჯერებელი და გაუგონარი სენსაციის ავტორები.

არ გვინდა ასეთი საეჭვო დიდება, არ გვინდა ასეთი რეკორდი! არ გვინდა გარემო იბილწებოდეს მანქანების შხამიანი კვამლით, არ გვინდა ჩვენი ბაღებისა და პარკების სუფთა ჰაერი უპასუხისმგებლო, უგუნური, წინდაუხედავი ადამიანების მიზეზით ქიმიური ნაერთების საბრძანებელი გახდეს.

ნუთუ ბაღების გარდა სხვაგან არსად არის კაფეებისა და რესტორნების ადგილი?

მოდით, ერთად გავადევნოთ თვალი სანაპიროზე მდებარე ბაღში ერთი საიდუმლოებით მოცული დაწესებულების „ევოლუციას". ჯერ იყო და რამდენიმე წლის წინ აქ ქარვასლასავით რესტორანი წამოჰიმეს, რომელიც საბოლოოდ მაგარი სასმელების, ჩხუბის, ალიაქოთის, ლოთობისა და ხულიგნობის ბუდედ იქცა. მერე დადგა დრო და გონიერმა ადამიანებმა მიწასთან გაასწორეს ბაღის კვალობაზე ასე მეტად საეჭვო რეპუტაციის მქონე რესტორანი. და მხოლოდ ნანგრევებიღა მიგვანიშნებდა მის აუგად სახსენებელ წარსულს. დაისვენა ბაღმა, ამოისუნთქა ხალხმა, სპორტსმენი გოგონები, რომლებიც წყალჯომარდობის ოლიმპიურ ბაზაში ვარჯიშობენ და ცხოვრობენ, აღარ უფრთხოდნენ შეზარხოშებულ ხულიგნებს. შემდეგ კი... ისევ მოვიდნენ „მშენებლები", იქაურობა მოასუფთავეს, საძირკველი ამოავსეს და ნარესტორნალი კაფე „მერცხლად" აქციეს. თავდაპირველად აქ მართლა მერცხლები მოვიდნენ თავიანთ მშობლებთან ერთად — ნაყინს, გამაგრილებელ სასმელებსა და ნამცხვრებს შეექცეოდნენ. შემდეგ შეუმჩნევლად შემოაპარეს მაგარი სასმელებიც და, მოგეხსენებათ, მერცხლებს დიდების კაფეში აღარ ედგომებოდათ. ფრთა ფრთას შემოჰკრეს და იმ ბაღებს მიაშურეს, სადაც ჯერ კიდევ ვერ მოუსწრიათ კაფე-რესტორნების აგება.

სწორედ იმ კაფედან იწყება ბაღის განადგურების ისტორია. როგორც უკვე ვთქვით, მტკვრის სანაპიროზე მდებარე ლამაზი და ფართო ბილიკი სამანქანო გზად აქციეს, დაამახინჯეს, წაბილწეს და დამსვენებლებს გემრიელი კერძებისა და სუფთა ჰაერის ნაცვლად სრულიად „უანგაროდ", უფასოდ და უსასყიდლოდ მიართვეს მტვრის, კვამლის, მანქანების გამონაბოლქვი გაზის კარგა მოზრდილი ულუფა. დღეს კაფე „მერცხალი" აღარ არსებობს (თუმცაღა ძველი წარწერა არ გახუნებულა, არ მოუხსნიათ და გვირგვინივით ადგას შენობას თავზე), მაგრამ პრობლემა პრობლემად დარჩა. მეტიც, გვერჩია კაფე ყოფილიყო, რადგან მაშინ მანქანების ნიაღვარი ასერიგად როდი გვაწუხებდა. ახლა კაფეს ადგილზე კიროვის რაიონის სასკოლო მომსახურების კომბინატი გაუხსნიათ. არის მანქანების გაუთავებელი გრიალი, არის მტვრისა და კვამლის საუფლო, არის შეწუხებული სპორტსმენების, დამსვენებლების, თოთობავშვიანი დედების, სასეირნოდ გამოსული მოხუცების უსასრულო პრეტენზიები. რისთვის ხდება ყოველივე ეს, ვის სჭირდება „ჩქაროსნული" სამანქანო ტრასა შუა ბაღში? განა იმდენად მდიდრები ვართ პარკებითა და ბაღებით, რომ მათ მანქანებით მკერდი შევულეწოთ, დავასახიჩროთ და ბოლოს სასიკვდილო ჭრილობა მივაყენოთ?

...მოწყენილი გავყურებ ბილიკს, რომელიც მტვრის კორიანტელშია გახვეული. აღარც მტკვრის რომანტიკული ბუტბუტი, აღარც ჩიტების ჭიკჭიკი. ყველაფერი დამუნჯებულა. აქ აღარ მოდიან შეყვარებულები, აღარ იყურებიან მტკვარში, რომელიც თავისი მღვრიე ფერის მიუხედავად მაინც ყველასთვის საყვარელ მდინარედ რჩება. არ ვიცი, რას ბუტბუტებდა იგი ბარათაშვილის დროს, მაგრამ მისი დღევანდელი სათქმელი შევეცადე თქვენთვის ამ წერილით მომეწოდებინა.

არჩილ გოგელია.

# საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის დასკვნითი, ბოლო შეხვედრები.

## I ჯგუფი

„სპარტაკი" (თბილისი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 0:0. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).

ამ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ცხაკაიელთათვის, რომლებსაც 1 ქულა სჭირდებოდათ I ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად. გუნდმა შეძლო ამ ქულის აღება.

პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 5:2. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

სტუდენტებმა ეს მატჩი დიდი აღმავლობით ჩაატარეს და უკვე პირველ ტაიმში 3 „მშრალი" ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში (წვერავა, ბოლქვაძე, ფრიდონიშვილი). შესვენების შემდეგ მეტოქეებმა 2-2 ბურთი გაიტანეს (თბილისელთაგან — ბოლქვაძემ და კვარაცხელიამ, „სპარტაკის" მხრივ — ზაგაევმა და ძაგოევმა) და სტუდენტთა გუნდმა მეტად საჭირო გამარჯვება ჩაიწერა გათამაშების ცხრილში.

პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „სპარტაკი" (თბილისი) 4:3. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

## II ჯგუფი

### I ზონა

„ფიჩხოვანი" (ახმეტა) — „ციკარი" (სიღნაღი) 3:1.

### II ზონა

„ბახმარო" (ჩოხატაური) — „სენაკი" (ცხაკაია) 0:1, „შუქურა" (ქობულეთი) — „მეშაქრე" (აგარა) 5:0, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „იმერეთი" (წულუკიძე) 1:1.

წულუკიძელმა ფეხბურთელებმა ჩოხატაურში აღებული ქულით I ადგილი დაიკავეს თავიანთ ზონაში. გაისად „იმერეთი" მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკური ჩემპიონატის I ჯგუფში.

## ზონალური პირველობა

„ალგეთი" (მარნეული) — „ღრმაღელე" (ლანჩხუთი) 4:1, „მადნეული" (ბოლნისი) — „ლესიჭინე" (ჩხოროწყუ) 2:0, „ღრმაღელე" (ლანჩხუთი) — „მადნეული" (ბოლნისი) 4:1. ბოლნისის „მაზალტს" გამარჯვება ჩაეთვალა ჩაქვის წაის საბჭოთა მეურნეობის გუნდთან.

## საჯარიმო დარტყმა

თბილისის „სპარტაკისა" და ცხაკაიას „ეგრისის" გუნდების შეხვედრისას ადგილი ჰქონდა წესრიგის დარღვევის შემთხვევებს. ყოვლად უმსგავსოდ იქცეოდა ცხაკაიელი მ. მერაბიშვილი, რომელიც გაძევებული იქნა მინდვრიდან. მერაბიშვილი ამის შემდეგ შეიჭრა მინდორზე და ცდილობდა „ანგარიში გაესწორებინა" მსაჯთან. მინდვრიდან იქნენ, აგრეთვე, გაძევებული ცხაკაიელი მ. კიკალეიშვილი და სპარტაკელი ბ. არჩვაძე.

ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის სპორტკომიტეტმა იმსჯელა აღნიშნულ დარღვევებზე. მერაბიშვილს დისკვალიფიკაცია მიეცა 10 კალენდარული მატჩით, ხოლო კიკალეიშვილსა და არჩვაძეს — 3-3 თამაშით. ცხაკაიელთა მწვრთნელს გ. შავდიას აეკრძალა მინდორზე გამოსვლა ფეხბურთელის როლში. ამას გარდა, წინა შეხვედრებში ჩადენილი დარღვევებისთვის სასჯელები დაედოთ ცხაკაიელ ფეხბურთელებს ს. კვარაცხელიას, რ. ნიკოლაიშვილს და ჯ. მურღულიას.

არასპორტული საქციელისთვის მინდვრიდან იქნა გაძევებული ცხინვალელი ბ. გაზაევი, მეორე გაფრთხილება მიიღო მარნეულელმა ხ. დანაგრანოვმა, გაფრთხილებული არიან ბ. კუტალაძე („ბახმარო", ჩოხატაური) და ი. ეუეუნაშვილი („ალგეთი", მარნეული).

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

## გათამაშების საბოლოო ცხრილები

### I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი" (ფოთი) | 44 | 28 | 10 | 6 | 105—44 | 66 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 44 | 25 | 13 | 6 | 70—35 | 63 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 44 | 27 | 7 | 10 | 71—35 | 61 |
| „მზიური" (გალი) | 44 | 23 | 10 | 11 | 76—49 | 56 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 44 | 20 | 10 | 14 | 78—66 | 50 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 44 | 18 | 13 | 13 | 58—48 | 49 |
| „ენერგეტიკოსი" (თერჯოლა) | 44 | 18 | 11 | 15 | 57—47 | 47 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 44 | 17 | 12 | 15 | 45—46 | 46 |
| ასკ (თბილისი) | 44 | 15 | 15 | 14 | 46—43 | 45 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 44 | 16 | 12 | 16 | 60—77 | 44 |
| „ნადიკვარი" (თელავი) | 44 | 14 | 15 | 15 | 57—55 | 43 |
| „ამირანი" (ოჩამჩირე) | 44 | 17 | 9 | 18 | 45—61 | 43 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 44 | 17 | 8 | 19 | 57—69 | 42 |
| „სპარტაკი" (თბილისი) | 44 | 16 | 9 | 19 | 52—62 | 41 |
| „ივერია" (ხაშური) | 44 | 15 | 11 | 18 | 33—48 | 41 |
| „სკური" (წალენჯიხა) | 44 | 16 | 8 | 20 | 54—62 | 40 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 44 | 14 | 12 | 18 | 64—72 | 40 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 44 | 13 | 14 | 17 | 44—58 | 40 |
| პოლიტ. ინსტ. (თბილისი) | 44 | 17 | 5 | 22 | 69—68 | 39 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 44 | 15 | 9 | 20 | 67—72 | 39 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 44 | 13 | 9 | 22 | 63—70 | 35 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 44 | 12 | 5 | 27 | 33—66 | 29 |
| „ივერია" (ქარელი) | 44 | 4 | 5 | 35 | 24—75 | 13 |

### II ჯგუფი

#### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სიონი" | 36 | 29 | 3 | 4 | 101—41 | 61 |
| ტაქ. № 3 თბ. | 36 | 27 | 5 | 4 | 78—28 | 59 |
| „მესხეთი" | 36 | 28 | 3 | 5 | 79—36 | 59 |
| „ვარძია" | 36 | 21 | 8 | 7 | 68—39 | 50 |
| „ალაზანი" | 36 | 16 | 8 | 12 | 84—61 | 40 |
| „ვენახლება" | 36 | 16 | 8 | 12 | 64—52 | 40 |
| „აშული" | 36 | 18 | 4 | 14 | 44—44 | 40 |
| „კანთიადი" | 36 | 14 | 10 | 12 | 87—48 | 38 |
| „ქართლი" | 36 | 14 | 6 | 16 | 88—64 | 34 |
| „გარეჯი" | 36 | 13 | 7 | 16 | 51—53 | 33 |
| „იორი" | 36 | 15 | 3 | 18 | 70—78 | 33 |
| „ფიჩხოვანი" | 36 | 12 | 7 | 17 | 51—68 | 31 |
| „გარისი" | 36 | 10 | 7 | 19 | 56—75 | 27 |
| „არაგვი" | 36 | 8 | 10 | 18 | 54—60 | 26 |
| „ჰერეთი" | 36 | 10 | 6 | 20 | 45—88 | 26 |
| „თრიალეთი" | 36 | 9 | 5 | 22 | 42—68 | 23 |
| „ბასტრიონი" | 36 | 5 | 13 | 18 | 33—59 | 23 |
| „ციკარი" | 36 | 7 | 8 | 21 | 45—101 | 22 |
| „გამარჯვება" | 36 | 5 | 9 | 22 | 55—132 | 19 |

#### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იმერეთი" | 32 | 25 | 6 | 1 | 74—26 | 56 |
| „სულორი" | 32 | 26 | 3 | 3 | 91—33 | 55 |
| „შუქურა" | 32 | 25 | 5 | 2 | 66—17 | 55 |
| „ბახმარო" | 32 | 17 | 10 | 5 | 72—37 | 44 |
| „ჩამომსხმ" | 32 | 14 | 7 | 11 | 53—43 | 35 |
| „მექალალდე" | 32 | 15 | 2 | 15 | 55—42 | 32 |
| „ავტომ." ა. | 32 | 10 | 8 | 14 | 33—44 | 28 |
| „ნაკადული" | 32 | 10 | 7 | 15 | 54—57 | 27 |
| „შახტიორი" | 32 | 12 | 3 | 17 | 35—50 | 27 |
| „გიგანტი" | 32 | 9 | 8 | 15 | 44—61 | 26 |
| „ავტომ." ზ. | 32 | 9 | 7 | 16 | 43—58 | 25 |
| „სენაკი" | 32 | 8 | 8 | 16 | 48—57 | 24 |
| „ნარუჯა" | 32 | 8 | 8 | 16 | 23—58 | 24 |
| „სამგურალი" | 32 | 6 | 11 | 15 | 22—43 | 23 |
| „ოჯალეში" | 32 | 9 | 5 | 18 | 39—64 | 23 |
| „მეშაქრე" | 32 | 6 | 10 | 16 | 39—71 | 22 |
| „ავტომ." მ. | 32 | 7 | 4 | 21 | 43—73 | 18 |

# ფეხბურთი

## გაიმარჯვეს ბათუმელებმა

**როგორც** ცნობილია, პირველი გადასასვლელი მატჩი ფოთის „კოლხეთისა" და ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელთა შორის დამთავრდა ფრედ 2:2. გუშინ ეს გუნდები განმეორებით შეხვდნენ ერთმანეთს ბათუმში. გაიმარჯვეს ბათუმელებმა — 5:1, რომლებმაც შეინარჩუნეს გაისად „ა" კლასის II ლიგაში თამაშის უფლება.

## ასპარეზობენ სტუდენტები

**დაიწყო** რესპუბლიკის თასის გათამაშება ფეხბურთში უმაღლესი სასწავლებლების გუნდებს შორის.

I ტურში ერთმანეთს შეხვდნენ გორის პედაგოგიური ინსტიტუტისა და თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდები. გორელებმა თავიანთ მინდორზე გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1, მაგრამ თბილისში წააგეს — 0:4 და გათამაშების შემდგომ ეტაპზეც ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი გავიდა.

ერთნაირი ანგარიში — 1:0 იქნა ფიქსირებული სოხუმის პედინსტიტუტისა და თელავის პედინსტიტუტის, თბილისის ზოოვეტინსტიტუტისა და სოხუმის სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის, ბათუმის პედინსტიტუტისა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდების შეხვედრებში. გაიმარჯვეს პირველებმა.

●

## პაოლო როსი პრეზიდენტი?

**იტალიის** პრეზიდენტის არჩევნების მე-15 ტურში 3 ხმა მიიღო... პაოლო როსიმ (ქვეყნის ფეხბურთის ნაკრების თავდამსხმელი). მას, ცხადია, პრეზიდენტის პოსტის მოსაპოვებლად თავისი კანდიდატურის წამოყენება აზრადაც არ მოსვლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გურჯაანელ ფალავანთა უპირატესობით

გურჯაანის ახალგახსნილ სპორტულ დარბაზში გაიმართა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატის ფინალური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ასპარეზობაში რესპუბლიკის 7 რაიონის საუკეთესო ფალავნები ჩაებნენ.

ორდღიანმა დაძაბულმა პაექრობამ გამოავლინა საქართველოს 1978 წლის ჩემპიონები და პრიზიორები წონითი კატეგორიების მიხედვით. 53 კგ. ა. ქუშნიაშვილი (ახმეტა), თ. ბიწკინაშვილი (გურჯაანი), ფ. ადამია (ქუთაისი); 60 კგ. შ. კაციაშვილი (კასპი), მ. დავითაშვილი (თბილისი), პ. კორაევი (ცხინვალი); 64 კგ. მ. კენჭაძე (გურჯაანი), თ. ჟიჟიძე (კასპი), თ. ტურიევი (ცხინვალი); 68 კგ. ჯ. ნანოაშვილი, დ. გეთიაშვილი (ორივე-თბილისი), ო. ბაბინასოვი (ხაშური); 73 კგ. ტ. ორველაშვილი (გურჯაანი), დ. ოდიშვილი (ცხინვალი), რ. მიროტაძე (ქუთაისი); 79 კგ. დ. დავითაშვილი (ახმეტა), რ. კვინიკაძე (ქუთაისი), ო. იაძე (კასპი); 87 კგ. ა. გაურგაშვილი (ახმეტა), მ. ხაბარელი (თბილისი), ი. ჯოჯუა (ქუთაისი); მძიმე წონა. ნ. ნუგზარაშვილი (კასპი), თ. დავითაშვილი. ბ. ყირიმელი (ორივე — თბილისი).

გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონის სახელი გურჯაანის პირველმა ნაკრებმა დაისაკუთრა. შემდეგ მოდიან კასპისა და თბილისის გუნდები.

გურჯაანის რაიონის სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაწესებული პრიზები გადაეცათ: მ. კენჭაძეს (ტექნიკური ჭიდაობისთვის), ი. ჯოჯუას (გამარჯვებისკენ სწრაფვისთვის), ტ. ორველაშვილს (გაბედული ჭიდაობისთვის), ა. ქუშნიაშვილს (ყველაზე სწრაფად გამარჯვებისთვის).

ასპარეზობამ დაგვანახა, რომ ეროვნული სპორტის საუნჯეს — ქართულ ჭიდაობას ბოლო პერიოდში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურულ-სპორტული მუშაკები. სასიამოვნოა ისიც, რომ ჩემპიონატში მონაწილე ფალავნებმა ქართული ჭიდაობის ფანდების კარგი ცოდნა გამოავლინეს.

**მ. შაოშვილი,**
**სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში.**

## ძიდაობა

### კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე

**პოლონეთის** ქალაქ მისლოვიცეში გამართულ კლასიკური სტილით მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირში, სადაც 7 ქვეყნის ფალავნები გამოდიოდნენ, ხუთმა საბჭოთა სპორტსმენმა პირველი ადგილი დაისაკუთრა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ალმაათელი ჟ. უშენპიროვი (48 კგ), ერევნელი რ. ნერცესიანი (52), კიროველი ა. ლიტვინოვი (62), კოხტლა-იარველი ა. ტალპასი (82) და კრასნოდარელი ი. იაკუტიხი (100).

მძიმეწონოსანთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა ბლაგოვეშჩენსკელმა ა. ბელოგლაზოვმა III ადგილი დაიკავა. აქ ჩემპიონი გახდა პოლონელი მ. გალინსკი.

## გმირის მემორიალი

უკრაინის, მოლდავეთის, ესტონეთის, ლატვიის, უზბეკეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთის, საქართველოს, სომხეთისა და რსფსრ-ს 200-ზე მეტმა ცნობილმა ძიუდოისტმა მიიღო მონაწილეობა მაიკოპში გამართულ ტურნირში, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირის ჰუსენ ანდრუხაევის ხსოვნას მიეძღვნა.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი მასპინძლებმა — მაიკოპელმა ფალავნებმა დაისაკუთრეს, II ადგილზეა კრასნოდარის, ხოლო III — ესტონეთის კოლექტივი.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ი. ნახტომ (კრასნოდარი), ბ. პანეშმა (როსტოვი), ა. ხაპაიმ (მაიკოპი), კ. აბდულაევმა (თურქმენეთი), ა. ბგუაშევმა, გ. აბიდმა (ორივე — მაიკოპი), ი. დანილჩენკომ (კრასნოდარი) და ა. ტამბიევმა (მაიკოპი).



ხალიჩები უკრაინიდან, ფაიფურის სერვიზები ურალიდან, ბურთები მოლდავეთიდან, სპორტული იახტები და ტანსაცმლის ახალი მოდელები ბალტიისპირეთიდან... საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხეში ამზადებენ მრავალფეროვან ნაწარმს ოლიმპიური სიმბოლიკით.

საკდესის ფოტო.

## ლაპარაკობს მსოფლიოს ჩემპიონთა კაპიტანი

— ჩემის აზრით მსოფლიოს ჩემპიონები ჩვენ გავხდით კუბაში ფრენბურთის პოპულარობის წყალობით, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა კუბის ქალთა ნაკრები გუნდის კაპიტანმა და ტურნირის ერთ-ერთმა საუკეთესო ფრენბურთელმა, 24 წლის მერსედეს პომარესმა.

— ჩვენს ქვეყანაში, — თქვა მან, — ოფიციალურად აღნუსხულია 750.000 ფრენბურთელი. დამეთანხმებით, რომ ქვეყნისთვის, სადაც 10 მილიონზე ნაკლები მოსახლეობაა, ეს ციფრი შთამბეჭდავია. ამასთან, ფრენბურთი სკოლაში V კლასიდან აუცილებელი დისციპლინაა. პომარესის აზრით, ძალიან სასარგებლო იყო მსოფლიო ჩემპიონატამდე ბევრ ტურნირში მონაწილეობა, სხვადასხვა და ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრა. „განსაკუთრებით ხშირად, — თქვა მან, — ჩვენ ვთამაშობდით გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებთან, რომლებთანაც მეგობრული კავშირი გვაქვს დამყარებული“.

მსოფლიო ჩემპიონთა კაპიტნისა და მათი მწვრთნელის ე. ლაფრიტის აზრით, კუბელებმა დაცვის საუკეთესო ვარიანტები აზიელებისგან, ხოლო შეტევისა — საბჭოთა სპორტსმენებისგან გადაიღეს.

— სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ ჩვენთვის ყველაზე ძნელი მატჩი იყო სსრ კავშირის ფრენბურთელებთან. ეს ბრწყინვალე გუნდია და მასთან შეხვედრამ უდიდესი დაძაბულობა მოითხოვა. ჩვენ წავაგეთ პირველი პარტია, დიდი შრომის შედეგად მოვიგეთ მეორე...

ჩვენ გავიმარჯვეთ ჩემპიონატში იმიტომ, რომ გვწამდა საკუთარი ძალა და გამარჯვება. მაგრამ მიღწეულზე შეჩერება არ შეიძლება. იმისთვის, რომ წარმატებით გამოვიდეთ „ოლიმპიადა-80“-ში, უპირველესად დაცვაში უნდა გავაუმჯობესოთ თამაში და სათადარიგო ეკსეული ძირითადის დონემდე ავიყვანოთ...

ვფიქრობ, მოსკოვის თამაშებზე ჩვენი მთავარი მეტოქეები საბჭოთა ფრენბურთელი ქალები იქნებიან. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ბრწყინვალე გუნდი, რომლისგან ჩვენ თავის დროზე ბევრი რამ ვისწავლეთ, ოლიმპიადამდე დარჩენილ დროში კიდევ უფრო გაძლიერდება. (საკდესი).

## ჩოგბურთი

### ბორგი კვლავ დამარცხდა

**მსოფლიო** ჩოგბურთის „ვარსკვლავების“ შვედი ბ. ბორგის, ამერიკელი ვ. გერულაიტისის, იტალიელი ა. პანატას და 19 წლის პერსპექტიული ჩოგბურთელის ჯ. მაკინროის (აშშ) მორიგი შეხვედრები მილანის სპორტის სასახლის კორტზე გაიმართა. პირველივე ორთაბრძოლა მოულოდნელი შედეგით აღინიშნა — ბორგმა მარცხი იწვნია პანატასაგან — 2:6, 2:6, ამასთან ტრავმაც მიიღო და ბრძოლას გამოეთიშა.

ტურნირი მოიგო გერულაიტისმა, რომელმაც დაამარცხა პანატა — 6:7, 6:2, 6:2, აგრეთვე, თანამემამულე მაკინროი — 4:6, 7:6, 6:3.

## ტანვარჯიში

### 11 ქვეყნის სპორტსმენთა მონაწილეობით

**იაპონიის** დედაქალაქში დაიწყო ტანმოვარჯიშეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი 11 ქვეყნის სპორტსმენთა მონაწილეობით. შეჯიბრების პირველ დღეს საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს სამ სახეობაში ხუთიდან. ელენე დავიდოვამ საუკეთესო შედეგი აჩვენა ბჯენით ხტომაში (9,675 ქულა) და I — II ადგილები გაიყო ორძელზე ვარჯიშში ამერიკელ რონდა შვანდტთან (9,75 ქულა თითოეულს). როსტოველმა სერგეი ხიჟნიაკოვმა და იაპონელმა კიოძი იამავაკიმ საუკეთესო შედეგი აჩვენეს თავისუფალ ვარჯიშში — 9,7 ქულა.

## იმედიანი სტარტები

## ცურვა

ასე შეიძლება შევაფასოთ ლენინგრადში დამთავრებული მოცურავეთა წლის უკანასკნელი შეჯიბრება — სსრ კავშირის თასის გათამაშება. თუმცა, ამ ასპარეზობაში პირველად მონაწილეობდნენ ექვსი ქვეყნის სტუმრები — დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, ჰოლანდიის, დანიის, კანადისა და რუმინეთის მოცურავეები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 10-დან 9 პირველი ადგილი საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს. უცხოელთაგან ერთადერთი გამარჯვება მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა, კანადელმა შ. გიბსონმა გულაღმა მოცურავეთა მრავალჭიდში მოიპოვა.

— სპეციალისტებს განსაკუთრებით ახარებთ ჩვენი მოცურავეების შედეგების შეუნელებელი ზრდა პროგრამის უმეტეს სახეობაში, — ამბობს სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ცურვის სამმართველოს უფროსი ა. მურისევი. — ასე მაგალითად, თუ აგვისტოში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი სპორტსმენებიდან მხოლოდ ირინა აქსიონოვამ გაცურა 800 მეტრი 9 წუთზე სწრაფად, ახლა ეს კიდევ ორმა შეძლო — მიტიშჩელმა, 15 წლის მოცურავე ელენე ივანოვამ და ვოროშილოვგრადელმა, 16 წლის გალინა ემელიანენკომ.

სეზონის ფინიშზე მშვენიერი შედეგი აჩვენა ქალთა 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ლ. კაჩიუშიტემ — 2.33,93. აღსანიშნავია, რომ მან წლეულს ორჯერ გააუმჯობესა მსოფლიოს რეკორდები. საერთოდ, პროგრამის ამ სახეობაში საბჭოთა სპორტსმენებმა წლეულს 5-ჯერ აწიეს მსოფლიოს რეკორდების ჭერი.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა მოცურავეების წინსვლა იმან განაპირობა, რომ მწვრთნელებმა თავიანთი მუშაობა ძირფესვიანად გარდაქმნეს.

ჩვენს მოცურავეებს ახლა წინ აქვთ ფრიად გადატვირთული სეზონი. მათი მთავარი ეტაპებია: სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა, ევროპის თასის გათამაშება ქალთა და ვაჟთა შორის, მექსიკის უნივერსიადა, აგრეთვე, მსოფლიოს თასის გათამაშება, რომელიც პირველად გაიმართება. ამ შეჯიბრებას იაპონია უმასპინძლებს.

### ასახელებენ სპეციალისტები

## კალათბურთი

იუგოსლავიის ნაკრებისა და ბელგრადის „პარტიზანის“ თავდამსხმელი დრაჟენ დალიპაგიჩი კალათბურთის 40-მა ცნობილმა სპეციალისტმა დაასახელა მსოფლიოს VIII ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად. დ. დალიპაგიჩმა მოაგროვა 200 ხმა. ქულათა აღრიცხვის სისტემა ასეთი იყო: პირველი ადგილისთვის — 5 ქულა, მეორე — 4 ქულა, მესამე — 3 ქულა და ა. შ. II ადგილზე გავიდა დალიპაგიჩის პარტნიორი ნაკრებში და კლუბში დრაგან კიჩანოვიჩი — 167 ქულა. ჩემპიონატის საუკეთესო ხუთეულის დანარჩენი წევრები არიან ბრაზილიელი დე სოუზა (48), მისი თანამემამულე შმიტი (40) და საბჭოთა კალათბურთელი ვ. ტკაჩენკო (38). როგორც ხედავთ, დალიპაგიჩმა და კიჩანოვიჩმა საკმაოდ დიდი უპირატესობით გაუსწრეს თავიანთ კონკურენტებს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მათ მაღალ ოსტატობას.

მეორე ხუთეული ასე გამოიყურება: იუგოსლაველი ჩოსიჩი (29), კანადელი რატინსი (18), იუგოსლაველი რადოვანოვიჩი (17), საბჭოთა სპორტსმენი ა. ბელოსტენნი (13) და ბრაზილიელი სეტრინი (12).

არც ისაა გასაკვირი, რომ ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი, საუკეთესო სნაიპერი ისევ იუგოსლაველთა შეტევის ლიდერი დრაჟენ დალიპაგიჩი გახდა. მის პირად ანგარიშზეა 202 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა ბრაზილიელი დე სოუზა — (193), მესამეზე — კანადელი რატინსი (187).

**მ. კალანდაძე.**

### „ანდერლეხტი“ — „ლივერპული“ — 3:1

**მეხუთედ** ეწყობა ევროპის სუპერთასის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც საპატიო პრიზისთვის ერთმანეთს ხვდებიან კონტინენტის ჩემპიონთა თასის მფლობელი და თასების მფლობელთა თასზე გამარჯვებული.

ბრიუსელში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ანდერლეხტი“ და ინგლისის „ლივერპული“. ანგარიშით 3:1 (პირველი ტაიმი — 2:1) გაიმარჯვეს ბელგიელებმა. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ვერკოიტერმა, ვან დერ ელსტმა და რენსენბრინკმა, ხოლო ინგლისელთა მხრივ — კეისმა. აღსანიშნავია, რომ „ანდერლეხტიც“ და „ლივერპულიც“ ადრე ფლობდნენ ამ სუპერთასს.

ზემოაღნიშნული გუნდების განმეორებითი შეხვედრა შედგება 19 დეკემბერს ლივერპულში.

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

**1978 წლის 15 დეკემბერს, 12 საათზე,** რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (ლენინის ქ. № 5) გაიმართება სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს IV პლენუმი.

**დღის წესრიგი:**

1. III საკავშირო და რესპუბლიკური საზაფხულო სასოფლო სპორტული თამაშების შედეგები და საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადებაში რესპუბლიკის სასოფლო ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები. (მომხსენებელი ნ. სომხიშვილი).

2. პლენუმებს შორის განვლილ პერიოდში „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ (ა. ბატონისშვილის ინფორმაცია).

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-58-14, 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99 58-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93 97 62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93 97-59; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93 97-61; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ქიდრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-59; წერილების — 93 97 61; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93 97-58; მემანქანეები — 93-97-57.